



# თეატრი



საქართველო  
საბჭოთაო

საუოველ-კვირთა ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

22 ივნისი

გ ა მ ო ი ც ე მ ა

№ 25

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა ან მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ.“

ჩედაძეცა სთხოვს იმ ხალხთ მოძიებათა, რომელთა დღეადინც არ უმომუშაოთ ხედავნი უფლი დაუზგარონ და უმომუშაონ 1 ივლისაგან, თორავ პირავლს ივლისის უმადვ გაზეთის გაგზავნა მოახსოვათ.




## ცხოვრების თეატრი.

ცხოვრების თეატრი ჩვეულებრივად ჰგვლავს. მოქმედება და მოქმედენი პირნი წამ-და-უწუმ იცვლებიან. ერთ-მეორეზედ საყურადღებო ამბები ერთ-მეორეზედ სამწუხარო და სასაცილო სურათები ისეთის დაჭინებით და სისწრაფით ასწრობენ ერთმანეთს, თითქოს ვინმე მოუთმენლად მოვლის და დაგვიანების ეშინიანთო. კაცმა არ იცის რას დააკვირდეს, რა იკულისხმოს, რას ან ვის მიეკედლოს, რა ან ვინ უარ-ჰყოს, რომლის წარმოდგენას ცხოვრების თეატრისას დაესწროს, რომელი ტიპი და ხასიათი აირჩიოს თავის იდეალათ, რას ან ვის ერწმუნოს. იმდენი არეულ დარეული გრძნობა და ჭკვა იმდენი სიმხდლე და გამბედაობა, იმდენი

პატიოსნება და სიყალბე ტრიალებს, იმდენი ვნება და სიფრთხილე ფუსფუსობს ცხოვრების თეატრის სცენაზედ, რომ ადამიანი ვერ ახერხებს ყოველივე ეს მოინელოს თავის გონებაში, ადგილი დაუთმოს თავის გულში. ამდენი არა და ჰმ ვერ ეტევა ადამიანის სხეულში, ვერ პოულობს გზასაგაღს, რის გამო კაცი იღლება, ნერვები იქანცებიან, შთაბეჭდილება სჩლუნგდება. ან მართლა, როგორ გასძლოს ადამიანის გულმა, როგორ შებოჭოს მისი ალტაცებითი ძაგძაგი, როგორ მოათავსოს, როგორ შეაჩივოს ერთმეორესთან ამდენი განცალკევებული საგრნები, ამდენი მოწინააღმდეგე სურვილები!...

შული სიყვარულით სცემს, გონება ნათელით იმოსება, მთელი არსება რალაც ღნინშია, როდესაც დაუწყებ თვალ-ყურის დევნას საქვეყნოდ გამოჩენილს გლადსტონს. მისი მეცადინეობა იმედს გაძლევს კაცობრიობისადმი, მისი სიტყვები—სიმაართლისადმი, მისი მოსიყვარულე და მფეთქავი გული სიმშვიდეს გარიგებს, მისი დიდი განზრახვა ნუგეშსა მეტოქესთან, გცემს, ერთის სიტყვით, იგა მთლათ ვიპყრობს როგორც—სიმაღლებზედ, სიღრმე-სიგანეზედ. ამიტომაც „ივერა“ სრულად მართა-



ლი იყო, როცა სთქვა გლადსტონზედ: „ბედნიერია ის ერთი რომელსაც ასეთი კაცი ებადება, და აგრეთვე ბედნიერია ის კაცი, რომელსაც ასეთი მსმენელები ჰყავსო.“ დიახაც რომ ბედნიერია ისეთი კაციც და ერთიც, ხოლო ჩვენ გვგონია, უფრო მართალი იქნებოდა ასე რომ ეთქვა „ივერიას“: ბედნიერია ის სწავლა-განათლების მდგომარეობა, რომელშიაც გლადსტონებისთანა პირნი იზრდებიან, ის ურთი-ერთობა, ის თანხმობა საზოგადოებრივი, რომლის სიმაგრე კლდეს ეჯობრება,— რადგან ყოველი კაცი კერძოთ და ერთი საზოგადოთ არის მდგომარეობის შედეგი.

რეზონორი

შო შია.

**ს** ის ძირში მამოკეფინენ შემოდგომის ზიარს ფოთლები,

ბუნჩარქებს ფერი ეცვალათ, დასევდიანდენ სოფლები, მინდვრები დაცარიელდენ, მწარედ მიფრუვდა ტყე-კელი და თავის სადგურ-სახურავს აწ შეეფარა ყოველი.

ბუღბუღი ჯღარ გასძახის, მერცხელი ჯღარ ჭიკ-ჭიკობს, ვარდა ქვე-ვისერ მოხრილი იასთან ჯღარ აშეიფებს, სინჯახლის ფეთქა შეძგვარა ამ სოფელ-სამყაროშია და მხოლოდ, ტოტსედ შემჯდარი, ჭუე-ჭუეობს ნახი შო შია.

შო შია! რასა ჭუე-ჭუეობ, რათა ხარ ეგრე მწუხარე, რის ნიშნია ეგ სეგა, გულისდამ ედმოქუხარე?

სიმდრე მღერას არ გიგავს, გულით გენთხევა ნადველი, მაგ ხმით გლოვდება მოა-ბარი, მეც კვლოვობ შენი მნახველი.

შენის მღერისგან გული სწუხს და სულს ძალ-ღონე ელკვა,

გრძნობები მიტყვევდებიან და შხამი სისხლში მერქვა.— კილო შესცვალე, მუხესნარო, ხმას აუმაღლე ღხენითა და გამიკურნე მე გული, დღეს შეპყრობილი სენითა!

გაღობს შო შია: „ბევრი მაქვს საგლოვო, სამწუხაროვო; ქვეყანა გლოვობს და მე ვი როგორ-ღა გავისაროვო: მკაცრი გრიგალი გაჭიკვის, დაღმუვის, დაგრგვინავსო, ვინც იცის სადით შექმურავს ის ჩემს ცხოვრების ხავსაო!

უამხანაგოდ დავდივარ დღე მუდამ ტყე და ველშიო და სჭენება ჩემი სინჯახლი ამ ნაირ განსჯადელშიო, მშობლიურ ველში მე ბუდე მტერებმა ამიმგრიესო და აწ უსახლოს, უეაროს ცხოვრება ამიკურნესო.

სატროფოც წამართვეს, დამაგდეს მე ზღობს... და გულ მოკლეული დავდივარ იმ შავ-დღეს აქეთ სოფ- ლადო.

გაღიაში ზის და ჭფიქრობს მწარედ გულ-შემოყრილიო: «სადა მყავს მოტროფე საზრდალო, სადა მყავს სევედის შვილიო!

მინდა აფურინდე: გავსწიო, ვიცნოვრო იმის ახლოსო, იქნებ, რომ მისმა უფრებამ ღხენა კვლავ განმიახლოსო, მაგრამ მაშლიან მის ტროფობას და იმის მუდმივ ტყე- რასო,

მიშლიან მასთან გაფრენას და მისთვის ტკბილად მღე- რასო!»

სთქვა და მისდუმდა ფრინველი, ბუჩქს მოეფარა შო შია, და მიიკარგა მისი ხმა შორეს ცის სამყაროშია, და ქარძან ტიტველ—ტყე-ველში მწარედ დიწყო კივილი, მოჭყენა სმეღეთს ნაღვლიან—სევედა და გულის ტკივილი. **ცახელი**


სასცენო სელოვნება

ლიპცია.

Голось—это невидимый актеръ, скрытый въ актеръ, это таинственный чтець, скрытый въ чтець, который имъ обоимъ служить сифлеромъ.—Легуве.—

**ა**კტიორის სელოვნება მამეტუბულად ღაზა- რაკობითი—ბახსობითი სელოვნებაა. ღაზარაკ- სათვის საჭიროა ენა და მერე ხმა. ხმა და ენა სასო- გადოთ ყველასა აქვს, მაგრამ აკტიორს ეჭირვება სრუ- ლებით სხვა ნაირი ხმა, ესე იგი ისეთი, რომელიც გა- მოხატავდას ყოველს გვარს გულის და სულის მოძ- რაობას, მაგალითად: გვიჩვენებდეს ტირილს, მრისხანე- ბას, წუხილს, სისარულს, დაცინვას, ალერსს, სიყვა- რულს, მღელვარებას, ვნებით სავსე ჩერხულს, მრისხა- ნე ქუხილს, ნარნარი მსურვადე თანაგრძნობას, ჯავრიან გრგვინვას, ერთი სიტყვით აკტიორს უნდა ჭქონდეს ხმა მუსიკალური, ჭარმონიული, პოეზიით სავსე—მელო- დიური; ასეთი ხმა იშვიათია და კიდევ ეგ არის მიზე- ზი, რომ ას აკტიორში ერთს, ნამდვილის არტისტიუ- ლი სმის პატრონს ძლივსდა შეხვდებით ხოლმე.

მაგრამ აკტიორისათვის როდი კმარა მარტო მუ- სიკალური ხმა. რაც გინდა იშვიათია და ჭარმონიული ხმა იყუეს, თუ ვი გავარჯიშებულნი და შემუშავებულნი არ არის, არასოდეს არ იქონიებს ჩვენსედ ჯეროვანს შთა- ბეჭდილებას. ვარჯს ხმას კარგი გავარჯიშებულნი ეჭირვე- ბა. ამ შემუშავებას და სელოვნურს ღაზარაკს ჭქვიან დიკცია.



დივიდის სახელს აქვს—ხმის ტენიკური მხრის გაუმჯობესება, ისე რომ—არც ერთი წინადადება, არც ერთი სიტყვა, არც ერთი ასო, არც ერთი მარცვლი შეუძნეველათ არ დაწერეს მსურველის და გამტონისათვის,—ერთი სიტყვით დივიდა ასწავლის აკტიორს დალაგებულს, გამორკვეულს და ახროვან ლაშარავს. როგორც წერა-კითხვას ეჭირვება სწავლა და შრომა აგრეთვე სერიანის სასტენო ლაშარავსაც ეჭირვება დიდი დაკვირვება და შესწავლა. სიტყვა გერმოდ და ლაშარავი საზოგადოთ ყოველთვის უნდა ეთანხმებოდეს მდგომარეობას. ადამიანის მდგომარეობა, როგორც გარეგნული, აგრეთვე შინაგანი, როგორც ყველამ ვიცით, ხშირად იცვლება ხოლმე, ესე იგი, დამშვიდებული მდგომარეობიდან ადამიანი ხან აღტაცებაში შედის, ხან მღელვარებაში, ხან სისარულში და სხვა; ამის დაგვარად ხმაც ეპორხილება ადამიანის მდგომარეობას, მით უფრო, რომ ხმა ერთი უმთავრესი ადამიანის სულის კეჭილთაგანია. ამისათვის ხმა მდგომარეობის-და-გვარად ხან აიწვევს, ხან დაიწვევს, ხან აკანკალებს, ხან დადუმიებს და სხვა...

ყველა ეს და ბევრი სხვა ამისთანა აუცილებელი საჭიროებანი ნათლად გვიმტკიცებენ, რომ აკტიორს ეჭირვება დივიდის შესწავლა, რომელიც ისეთს საჭიროებას შეადგენს აკტიორისათვის, როგორც თარხედ დაკვირისათვის სიმების მომართვა.—ჩვენ ვერდებით ჩვენსი ძალ-ღონის შესაფერად დივიდის შესწავლის ზოგიერთი საშუალებანი მოვნახოთ და იმავე დროს ამ ჩვენს წყრილს მოკლე და მარტივი დივიდის თეორიის ხასიათი მივსცეთ.

დივიდის ტენიკურს მხარეს შეადგენენ ხმა და გამოთქმა.

ჩვენი ხმა ისეთივე მუსიკალური იარაღია, როგორც საზოგადოთ ყველა სამუსიკო იარაღები, სოლო ჩვენი ხმა უფრო მდიდარია, უფრო ძვირფასია და ყველა მუსიკალურ იარაღებზედ დასვლავნებული და უმჯობესია.

ორგანო ხმისა იმით განიხივებს სხვა ჩვენი ორგანოებისაგან, რომ ხმა არას ოდეს არ დაიბადება კაცის უნებურად. ადამიანი მაშინ ლაშარავობს, როდესაც ქსურს ლაშარავი; მე ამით ის მინდა ვსთქვა, რომ კაცი სმენას და ყურებას ვერ ისწავლის და ლაშარავს ვი ყოველთვის, (რას თქმა უნდა თუკი მოიწადინებს) იმიტომ, რომ ლაშარავი კაცის სურვილზედ და ნებაზედ არის დამოკიდებული, მაგალითად: როცა გინდა ხმას ასწვევ, დასწვე, ამაღლებ—დასწერე, გაიციხე, დაიფირო, მოკლეთ რომ ვსთქვათ, ხმა არის ისევე ის თარი ისევე ის ქნარი, რომელ ჩედაც მტოდნეს სურვილისამებრ შე-

უძლიან სხვა-და-სხვა სმები დაუყრას, სულ სხვა-და-სხვა რიგად ააქლორო ხოლმე.

ჩვენი ხმა იყოფება სამს ნაწილად: პირველი—დაბალი, მეორე—შუათანა და მესამე—მაღალი ხმა რომელთაც ურიცხვი განყოფილება აქვს. დიდი ცოდნა და დაკვირვება ეჭირვება აკტიორს, რომ ამ სამში ერთი რომელიმე ხმა იხმაროს. ყველაზედ კარგი და უსაჭიროესი არის შუათანა ხმა—დაბალი ხმა უფრო ძლიერია (არა სიმაღლით, არამედ მნიშვნელობით და ძალით.) მაღალი ხმა უფრო მშვენიერი და ბრწყინვალეა.

ყველა გამოჩენილ დრამატიულ არტისტებს მომეტეულებდ შუათანა ხმა ქონდათ. „შუათანო სმით ვერც ერთი არტისტი სასკლს ვერ მოიხვეჭს“ ამბობს გამოჩენილი საფრანგეთის არტისტი მოლლე. და მართლაც, ვერაფერი ვერ შეედრება შუათანა ხმას. ამ ხმის მქონე აკტიორს შეუძლიან ყოველ კვარი გრძნობის გამოხატვა.

დიდი სიფრთხილე ქმართებს აკტიორს დაბალი და მაღალი ხმის ხმარებაში. უსომოდ და გაურჩეველად ხმარება ან პირველის ან მეორისა ყოველთვის შთაბეჭდილებას აფუჭებს და მანებელიც არის და აი რა მიზეზით: ვსთქვათ აკტიორმა დაიწყო როლი მაღლისა და დაბლის ხმით—რადგან ეგ ხმები ჩვეულებრივი არ არიან მაშასადამე ძნელიცაა. სიმნელე იმაში მდგომარეობს, რომ აკტიორს ძალე ელალება ყელი, მერე თავი და რას თქმა უნდა, თუკი ერთსელ თავი დაიღალა, მაშინ ფიქრიც და მოსაზრებაც ძნელდება—მაგისი შედეგი ადვილი გასაგებია; თავის მოქანტვას გონების დაფანტვას მოხდევს, მაშასადამე—როლის დაიწვევა და უსერიოთაშობა. გარდა ამისა, ამ ორის ხმის ხშირად ხმარებით მსურველიც იქნება, უკეთ რომ ვსთქვათ, შთაბეჭდილება უჩლუნგდება.—

სულ სხვა არის შუათანა ხმით ლაშარავი. აქ მსურველი მაღლობელი რჩება და აკტიორიც კმაყოფილია, ამასთანავე არც ილალება.

აქ საჭიროდ ვსედავ ისიც ვსთქვა, რომ ბევრნი იმ აზრისანი არიან, თუ ხმა არა მაქვს, ვერდები რომ ვიქონიო. ზეტოოსანი და კეთილი, მაგრამ მათ სამწესროდ უნდა გამოვტყდეთ, რომ ეგ ასე ადვილი შესაძლებელი არ არის და თითქმის ამაო ცდილობაცაა. აკტიორს თუ კარგი ხმა აღარა აქვს, სჯობს რომ სცუნას თავი დახეობს. ხმის შექნა შეუძლებელია. საჭიროა, რომ აკტიორს ბუნებითვე ქონდეს სერიანის ხმა, რომ შრომით და ვარჯიშობით უფრო გაუმჯობესოს. გამოჩენილი გენიოსი—არტისტი ედმუნდ კინი ამბობს: „ხმას ვერსად ნახე და ვერც შეიძენ, ამას ის ამტკიცებს,



რომ სმის დაკარგვა შეიძლება და ზოგან კი შეუძლებელია, ეგ მე ჩემს თავსედ გამოვცადეო“. მართლაც კინს ბოლოს დროს ლოთობისაგან და ფუჭი ცხოვრებისაგან ხმა სულ დაეკარგა.

სმირად ლაშაჩავის დროს აკტიორი იღლება და მით შთაბეჭდილებას აფუჭებს—ვისაც დივიცია შეუსწავლია, ის თავის დღეშია და არ დაიღლება წარმოდგენის დროს და აი რადა: დივიცია შეეხება აგრეთვე სუნთქვას და სუნთქვის უცოდინარეობით კი წარმოდგება დაღლილობა. ჩვენ ვსუნთქავთ ასე: ერთის სუნთქვით შეგვაქვს ჭაერი ფილტვებში და მეორეთი კი გამოგვაქვს სოლმე, და თუ ეგ სუნთქვა ზომიერია, ლაშაჩავისაგან დაღლივა სცენაზედ ყოვლად შეუძლებელია. ერთს გამოაჩენილს არტისტს ჭკითსეს: რათ არ იღლებით, როდესაც მთაზედ აღიხართო?—„იმიტომ არ ვიღლები, რომ სუნთქვა ვიციო!“ მიუგო არტისტმა. ესლა ვახსოთ სუნთქვა როგორ უნდა, რომ აკტიორი არ დაიღლოს, მაგრამ აქ სჯობია გამომჩენილი საფრანგეთის არტისტს, ტალღმას დაეუბნათ უფრო: „აკტიორი, რომელიც ლაშაჩავის დროს იღლება, ის სასულს ვერას გზით ვერ გაითქვამს. ამ სუნის სასიცილებლად საკმარისია, რომ აკტიორმა ყოველი ლაშაჩავის დროს ხმოვან ასოებს შეეხებოდეს—ზომიერს სუნთქვას.“

ტალღმას რჩევა მეტად საყურადღებოა და ადვილი ასასრულებელიც; მაგრამ ჩემის აზრით ყველა ხმოვანი ასოებს შეეხებოდა სრულყოფილი საჭიროა არ არის სუნთქვა. სრულად საკმარისიც იქნება, თუ აკტიორი გაივარჯიშება ამ ასოებს: ა, ე, ო, უ. ეს ოთხი ასოა ისეთი თვისებისანი არიან, რომ მაკათი გამოთქმისათვის უთუოთ ზერი დიდათ უნდა გაიღოს და მასადადმე ჭაერს თავისუფლად შეუძლიან ფილტვებში შესულა-გამოსულა; გარდა ამისა ამ ასოების წარმოთქმის დროს ვერც მათეუბელი შეამჩნევს, შეესუნთქა აკტიორმა ჭაერი თუ გამოსუნთქა. აჭიდან ამკარად სხანს, რომ აკტიორს ცოტა შრომა უნდა, რომ ერთი უბედურებათაგანი—დაღლივა აიცილოს და იმავე დროს კარგათა შესარულოს სოლმე თავისი როლიც. სანდის-სან აკტიორი მატეტიური ადგილებში თავდავიწყებაში შედის, ცხანდება, სჯავრობს, ყვირის, როლიც შეცდება კიდეც, მაგრამ ეს ისეთი უბედურება არ არის როგორც ისა, როდესაც აკტიორი იღლება, რადგან, როგორც წინეთ ვსთქვით, დაღლივას თამაშობის გაფუჭება მოხდევს სოლმე. ერთი სიტყვით განზიარე, ზომიერი სუნთქვა კარგი დივიციისათვის ისეთი საჭიროებას შეადგენს, როგორც დახეული, დასლართული ტყეში მოკლე ბილიკების ცოდნა.

დიდი და თითქმის უპირველესი მნიშვნელობა აქვს აკტიორისათვის აკცენტუაციას—ესე იგი კილოს და გამოთქმას. კარგი გამოთქმაზედ დამყარებულია წინადადების გაგება, ჭაერის მიხვედრა, სიტყვების სიმსილე და სიმშვენიერე, სისუფთე და სიციფსლე. როგორ უნდა მიაღწიოს აკტიორმა ასეთი გამოთქმას? აი რას გვასწავლის დეკლამაციის პროფესორი რენიე: „დაჩქვით თქვენს მეგობრის წინ და დაწვეთ სრულყოფილი ჩუმიად, უხმოთ სიტყვების მარცვლებით გამოთქმა. ეცადეთ, რომ ყოველი ასო, ყოველი მარცვლი გამოტყროთ, მნიშვნელობით გამოთქვათ—ისე რომ თქვენი ლაშაჩავი ჩურჩულს მიგვანდეს, მაგრამ ჩურჩული გამოკვეთილი უნდა იყოს. ილაშაჩავით ასე რამდენიმე ხანი და დამერწმუნეთ, რომ ერთი, ორი თვის შემდეგ—თქვენ მშვენიერი, გარკვეული გამოთქმა გექნებათ“ და მართლაც, ეს მარტივი საშუალება ერთი საუკეთესოთაგანია ამ უკანასკნელ დროში ასეთი საშუალება კიდეც მიღებულია მუნიციპლის სასწავლებლებში, სადაც სუნთქვით და ტუჩების აწევა-დაწევათ კითხულობენ სიტყვის ასოებს, სიტყვებს და მთელი აზრებსაც.—თუ კი აკტიორი ამ შრომით საგანს მიაღწევს, მაშინ მას ადვილათ შეუძლიან თავის სელოვნება წინ წასწიოს. ამის გარდა სიტყვას ეძლევა ძალა და აზრი, ენერჯია—და სხვა ყოველ გვარი მნიშვნელობაც.—კარგი გამოთქმა სანდის-სან უსერიო თამაშობას შევლის. ბევრი მაგალითები ყოფილა, როდესაც დაბალ და სუსტის სმის აკტიორს, რომელსაც ვერც შუათანა და ვერც მაღალი ტონების ატანა შეუძლებია, კარგი გამოთქმის მაღლობით დიდი შთაბეჭდილობა მოუხდენია მათეუბლებს.

ბევრჯერ აკტიორს საქმეს უფუჭებს კილო—ეგ ადვილი ასაცდენია თუ კი შრომას არ დასარდება. საჭიროა უკეთესი მწერალთა წარმოებების ხმა მაღლა კითხვა—სახოგადოთ მაღალი ლაშაჩავი და ლექსების ხმა მაღლივ კითხვა დიდს სარგებლობას აძლევს აკტიორს. თუ აკტიორს მსუბუქელობაში აქვს ნამდვილი სელოვნების მსასურება და ამასთან სასულის განთქმაც, მაშინ იმან როდი უნდა გაქვრეს სწავლას და შრომას, ურომლისოთ არამც თუ სელოვნების მსასურება, არამედ საშრომის ადუღებაც კი მხელდება.

ხმა დიდი საუნჯეა, მაგრამ დაუსელოვნებელი—გაუკარჯიშებელი ხმა ისეთივე ნაკლებანებაა, როგორც სმის უქონლობავე. სმირად მოხდება, რომ აკტიორს მშვენიერი ხმა აქვს, მაგრამ ხმის ხმარება კი არ იცის: ან გაუკარჯიშებლად ლაშაჩავობს, ან მეტის მეცადინეობით ხმა მაღლა ლაშაჩავობს და სრულიად არეებს აზრების მნიშვნელობას, ან ხმოვანი ასოები უხმო ასოებს უდა-

საქართველო  
საქართველოს  
საქართველო

ზამენ და ამ რიგით სიტყვას სწრულებით იკარგება. ერთის მხრით, თითქოს მაღალის სმით ღაზარაკი უნდა მოგვწინდეს, რადგან ყოველს სიტყვის გარეგნულს საშუალება გვაქვს. მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით მაღალს ღაზარაკს, მაშინათვე მივხვდებით მისი აკვარგობას. საზოგადოთ მაღალი, ერთნაირი, ერთ-ზომიერ ღაზარაკი მაღე მოგვწინდება ხოლმე და ესეც რომ იყოს, — მაღალი ღაზარაკი ისეთს სმაურობას ახდენს ყურში, რომ სმენასა და ყურადღებას გვიქანცავს და ბოლოს ეგ დაღლილობა ტანჯვად გადაგვიქცევს ხოლმე. აკტიორმა უნდა ბევრჯერ გასინჯოს თავის ტონი, რათა ნამდვილს კილოს, სწორს ტონს დაადგეს — აი ერთი მაგალითი: გამომხილი არტისტი დავიდ გარბიეი მეფე ღირის როლს თამაშობდა და მესამე მოქმედებაში, სადაც თავის ქალს გონიერად სწუყვლის, იქ მატეტიურად, ხმა მაღლა ღაზარაკობდა — საზოგადოთ ამ ადგილში ყველა აკტიორები ხმა მაღლა ღაზარაკობენ, — მაგრამ ერთხელ რეპეტიციასზედ ხმა წაუვიდა და ნება უნებლიედ იმულებულ იყო ნელა — ხუი, გამარჯვებული სმით ეთქვა თავის როლი. წარმოდგინეთ რა ხიერი შთაბეჭდილობა მოახდინა თავის ამხანაგებზედ, არტისტებზედ — ყველა იქ მეოფნი ატირა — ისეთის გრძობიერის და ნამდვილის ტონით იყო თქმული მთელი მონოლოგი. ეს მაგალითი აშკარად გვიმტკიცებს, რომ აკტიორს დიდი სიფრთხილე უმართებს ტონების არჩევანში — და ხანდისხან — სადაც მაღალი ხმა საჭიროდ გვეგონია — დაბალი, უტყუარა ხმა უფრო მამეტებულს და მრთელს შთაბეჭდილებას ახდენს ხოლმე.

ზოგი და სშირად კარგი ხმის მქონე აკტიორებს სტირთ ერთი უბედურება — ეგ არის ბლუობა, ენა ჩლუნგობა. მე იმ ბლუობაზედ არ ვამბობ, რომელნიც ერთი საათის განმავლობაში ერთს სიტყვას ვერ იტყვიან ხოლმე — ისინი ვერას რდეს აკტიორად ვერ გასდებიან — არა, მე ვამბობ იმისთანებზედ, რომელნიც ლ. და რ ერთ-მეორეს ურევენ ხოლმე. ეგ ნაკლებეკვანება ადვილი შესასწორებელია, თუ ვი ბატარა შრომა დაიდება. აქ ისეკ იმ გენიოსს არტისტს ტალმას მივმართოთ: „არის ოთხი ასო, რომელნიც ენის წყურით წარმოითქმებიან, ესენი არიან: დ. ლ. ტ. რ. თავდაპირველათ წარმოსთქვით დ — მერე — ლ ეგ ორი ასო ადვილი წარმოსთქვია. მერე ეგ ორი ასო მაღ-მაღ უნდა წარმოსთქვით, მაგალითათ: ერთი მინუთში 20, 30 და 40 ჯერად. შემდეგ მიუმატედ მესამე ასო ტ და ისეკ აუჩქარეთ გამოთქმას. მერე მიუმატედ მეოთხეც რ და ნელ-ნელა დაიწყეთ, ისე რომ თითო ასოს გამოთქმა შეეკლოთ, თუკი ვერ მოხერხდა ისეკ დაიწ-

ვეთ: დე — ლე — ტე — რე — და ეცდეთ, რაც შეეძლებელია, აუჩქაროთ გამოთქმას, მერე რ შუაში დასვით დე — რე — ტე — ლე, მერე წინ რე — დე — ტე — ლე, ბოლოს შეაერთეთ სამი ასო — დტრ — ისე რომ გამოთქმა ბარბანის (დოლის) დაკვრას ემსგავსებოდეს. ამის შემდეგ მოაწადეთ დ — მერე ტ დაჩქება რ. სცადეთ ეს საშუალება და წარმატებას მე გზირდებით? სწორედ რომ საუცსოვო რჩევაა და ადვილი შესასწრულებელიც. — თვითონ ტალმა მაღიან ბლუობდა, მაგრამ ეგ ნაკლებეკვანა ამ საშუალებით მაღე გაისწორა. ასო ლ ცოტად ახსელებს საქმეს, მაგრამ ამასაც ბოლო მოელება თუ ვი აკტიორი მოიწადინებს: აიღეთ სიტყვები სადაც ორი, ლ — მაგალითათ ლული ლალი და მაღ-მაღ წარმოთქვით ხოლმე — შემდეგ აიღეთ ისეთი სიტყვები სადაც ლ და რ — არიან, მაგალითათ, რული, კრული, სრული და ისეკ იმ სწრაფი გამოთქმით ეცადეთ დახელოვნდეთ. ბევრს შეუღის აგრეთვე სიმღერა — სადაც ლ და რ — ხშირად იმეორება ხოლმე. რ — ხელაჩქურა ხმარებას უჭვან ვიბრაცია და მართლაც იმისთანა სასიამოვნო არაფერია, როდესაც აკტიორი მართლის და სწორის ვიბრაციებით ღაზარაკობს.

ვალეკო — იან

(დასასრული იქნება)

### ხელოვნური ზოგზია.

**შ**ერ მოვასწრეს, მინდოდა  
შენ სამ მაგერიეკვ ვხასედა; —  
ერთხელის გამოგტეხოდა,  
რაც მახვევია ვულხედა.  
ან ბნელი გამთენებეიო,  
ან ცა დამშლიეო თავსედა.  
მე ხომ არ ვიცვი, სად ვხივარ,  
სად ვიარები ვხასედა.  
სჯობს ესეთას ვოფხასა,  
ერთი რამ განხდეს წარსედა:  
ან ვოფხა, ანუ სიკვდილი —  
ერთი რამ ქვეყნასედა!

ბახანა.



# გელმბრისტიკა

ნ ი ს ს ა

(მოთხრობა დელბისა)

ზასტონმა მოსწია ციგარი და დაიწყო:

— თუ გსურს ყური დამიგდე, ისტორია თუმცა გრძელი არ არის, მაგრამ წარმოადგენს სრულს დრამას. ჯერ კიდევ ეხლაც, როცა მამაგონდება ქრუანტელი გამიელის ტანში. შენ ხომ გახსოვს ამ ორის წლის წინათ სამინისტრომ გამგზავნა სპარსეთში. მან მომანდო — გამეცნო და ამეწერა ირაქ-ადჯედის პროვინცია. მე დავბინავდი ისპაჰანში და სამი თვის განმავლობაში შევასრულე ჩემდამი მონდობილობა. მაშინ, რომ დავბრუნებულვითყავ, სამინისტრო ცუდის თვალთ შემხედდა და არ ჩამთვლიდა საქმის კაცად. მე საშინლათ ვიყავ მოწყენილი, როდესაც, ჩემდა ბედათ, გამოცვალეს გუბერნატორი. შაჰიმ მის მაგივრათ გამოგზავნა თავის ძმის-წული მულქამ-ყაინი.

— ის, რომელიც მოგზაურობდა საფრანგეთში?

— ღიახ, მაშ შენ უკვე გცოდნია ერთი გმირი ჩემის მოთხრობისა მაჰმედ-ალა. ის იყო პრინცი-გუბერნატორის მხლებელი-ლენერლის ჩინისა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, როგორც სპარსეთში ეძახიან სატრაპი.

— მახსოვს ახალ-გაზდა კაცი, ასე ოც-და ათის წლისა. ის ხანდის-ხან ეახშამს ჩვენთან მიერთმევედა.

— შეგიძლიან წარმოიდგინო ჩემი სიხარული, როცა ის ვნახე. აღმოსავლეთის ხალხი, რაც ნახევრათ გაფრანგდებიან რაღაც მიმზიდველობის ძალას იძენენ. მითი კვირის შემდეგ ჩვენ ვიყავით განუშორებელნი.

— ჰო ეს ყველა კარგი, ჩემო კეთილო, მაგრამ დრამა?

— ღიაცა, მე ეხლა ვიწყებ. მითხელ მე დავსერნობდი ქალაქის ქუჩებში. მე აღტაცებაში ვიყავი

მოსული მის სამოთხის მზგავსს სანახაობით წარმოადგენს უზარმაზარი ჭანდრები და ხიზარები, რომლის წვერები გარდახვეულან ერთმანეთს და წარმოადგენს საუცხოვო კამარედს: სადაც გაიხედამ ყოველგან მოჩანჩქარებენ ანკარა რუები...

— შენ ისევე აწერას, შეუდექი ჩემო საყვარელო, გახსოვდეს რომ სამინისტროსთვის არ მუშაობ, შენ დამპირდი გეთქვა დრამატიული ისტორია. ვთხოვ ილაპარაკო და წერილმან აწერას თავი დაანებო.

ზასტონმა ამოიოხრა.

მიუახლოვდი მე თითქმის კიოსკს, რომელსაც ქვიან სიუთუქ, რომლის მოსახვევზე დავინახე ქალი ტანტრევანდზე. საზოგადოთ სპარსელი ქალები ქუჩებში მოძრავ ტომრებს გვანან: თავიდან თვხამდის არიან განხვეული ჩაღრებში და პირის სახე სრულეზით არ მოუჩანთ. მაგრამ ის ქალი, რომელიც მე შემხვდა არ ჰფარავდა ჩაღრით თავის გრაციით საესე ტანს. ეს იყო მეტად მშვენიერი ტანიდი ქალი, რომლის მზგავსი მე ჯერ არ მინახამს. მე შეენიშნე ორი დიდრონი ლამაზი თვალეები, რომელნიც ცუცხლივით ანათებდენ. ჩემი ცხენი მიდიოდა ნელნელა და განუშორებლივ მივხედვედიტა ხტრევანდს. მე მომეჩვენა, რომ უცნობმა ორჯერ გამოიხედა ჩემსკენ. მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, რადგანაც კარგათ ვიცოდი, რომ აღმოსავლეთში ყოველგვარ რომანტიული თავ-გარდასავალი შეუძლებელია.

მე თითქმის დამავიწყდა პირველი შეხვედრა, როდესაც შემდკომ ორის დღისა ისევე დავინახე ეს ტანტრევანდი. ახლა კი მარტო არ ვიყავი ჩემთან იყო მაჰმედ-ალა. ერთის შეხედვით ვიცანი მე ის ქალი, რომელს თვალეებიდან ალი გამოიღოდა. მე შეეხედე სარტაპას, მაგრამ იმან მიჩვენა თავი, ვითომც არაფერი შეუნიშნავსო. ჩვენ მივდიოდით ასე თითქმის ათს მინუთს, ამ დროს ტანტრევანდმა გადუხვია დჯუფლის ხიღს. ეს ხიდი ერთი უმშვენიერესთავანია მთელს დედამიწის ზურგზე: ის შედგება ოცდა ცამეტის თალეებიდამ, რომელსაც უხვად რწყავს მეტად ანჩხლი მდინარე ზეიდდე-გრუბი. ეს ადგილი საუკეთესოა მთელს ქალაქში. აქ ყოველ საღამოზით გამოლაგდება მთელი ქალაქი, რათა დასტკენ მის მაგრილობელ ჰაერით. ტანტრევანდს რომ მივხედვედი ცოტა დავფიქრდი: ვაითუ ჩემის ცხადის მოქმედებით რამე უსიამოვნება მივაყენო უცნობს მეთქი, მაგრამ როცა კარგათ



ქართული  
საბჭოთაო

დავატყერდა, შეენიშნე, რომ ჩემი საქციელი სრულ-  
ლებითაა სწყენოდა. ამ ფიქრების დროს უცნობმა  
თავი ამოყო და დაგდო ქვაფენილზე ცხვირ-  
სახოცი. ცხვირ-სახოცი მე მაშინვე ავიღე.

— სატრაპი არას ამბობდა?

— იმ წუთში არაფერს. მთელი ის დრო, რაც  
ჩვენ სეირნობაში ვიყავით, იგი გაჩუმებული იყო  
და შესამჩნევად იკვებდა უღვაშებს. როცა ჩვენ  
მივედით სასახლესთან მან მთხოვა შევსულ-ვიყუ  
მასთან. როცა ჩვენ მარტოდ დავრჩით კაბინეტში  
მან მითხრა:

— მე თქვენ არ მოგეციო შენიშვნა მაშინვე,  
ახლა-კი მიიღეთ ჩემი რჩევა: მის მაგივრათ რომ  
გულთან ახლო შეინახოთ ეს ცხვირ-სახოცი, რო-  
გორც ძვირფასი ნივთი, შეაგდეთ ცეცხლში.

— თქვენ გსურსთ ესა?

— მე მინდა, რომ თქვენ ან არ მოგკლან  
და ან არ ჩაგაგდონ ზეიდ-დე-გრუბში. მე წარმოვა-  
დგენ ამ ქალაქში პოლიციის უფროსს და პასუხი  
უნდა ვაგო საფრანგეთის საელჩოში.

— მაგრამ...

— მეტი არც ერთი სიტყვა. თქვენ ყველა  
პარიჟელები საკვირველი ხალხი ხართ. თქვენ ფი-  
ქრობთ, რომ კაპუტინების ბულვარში ხართ: ჩემო  
ძვირფასო, ნუ დაივიწყებთ, აღმოსავლეთში ხართ.  
ძმრები აქ აღარ ხუმრობენ. პარიჟში ეს ისე გაი-  
ვლის. თქვენი უცნობი ჩემთვის არ არის უცნო-  
ბი. მას ეძახიან ნისსას.

— ნისსა!

— თუ ამ სახელს აღტაცებაში მოჰყევხარ, მი-  
სი ქმარი სრულებით არ არის ისეთი კაცი რომ მისი  
ნახვით და გაცნობით აღტაცებაში მოხვიდეთ, ის  
არის მეტად მდიდარი ვაჭარი, შესანიშნავი თავის  
მძვინვარებით და ამყობით. მისი დედა ინგლისელი  
ქალი იყო, მაგრამ არაფერი გავლენა არ ჰქონია  
მაზე. მას მტკიცეთ აქვს დაცული აღმოსავლეთის  
ზნე-ჩვეულობა. ის თქვენ მოგკლავს, როგორც  
ძალღს.

— რა ჰქვია ამ ისპაჰანის ნადირს?

— ასთულლა. მე არ მსურს, რომ მას გაე-  
ცნოთ.

— იცით თქვენა. სად სცხოვრობს ისა?

— როგორ არა, ის სცხოვრობს იმ დიდ სახ-  
ლებში, რომელიც დგას წყლის პირათ. ხიდის ყურ-  
თან.

— ნისსა!—ნეტა რას ლაპარაკობენ მასზე?

— ოჰ პარიჟელო! ჩვენში ქალებზე აღარ  
ლაპარაკობენ. ქმრები ჩვენში სრული დესპოტები  
არიან თავიანთ ცოლებსათვის. არც ერთ ქმრის  
სიტყვაზე და სურვილზე ცოლებს წინააღმდეგობის  
გაწევა არ შეუძლიათ. მაი იმ ქალს, რომელზედაც  
ქმარმა ეჭვი შეიტანა! ჩასვამენ ტომარაში თავს  
მაგრა შეუყრავენ და გადისერიან მდინარეში.

— ოხ ლმერთო: რა ველურება?

— ახლა ჩვენ ცოტათი გავნათლდით. მით-  
ხრა ცივთ სარტაპმა. წინეთ ქალთან ტომარაში  
სვამდენ ცოცხალ კატას, რომელიც წყლის შიშით  
ამოსვლას დააპირებდა, და რომ ვერ პოულობდა  
ადგილს საშინლათ უფხაჭნიდა ცხვირ-პირს; ახლა  
ამას მიანც არ სჩადიან. ასე ჩქარა ვრცელდება ევრო-  
პელების გავლენა.

ამ ლაპარაკმა ძალიან დამაფიქრა. ამ დღეს  
ჩვენ ერთათ ვისადილეთ. ნასადილევს, როგორც  
ჩვეულებად არის დიდ-კაცებში, მოვისმინეთ მუზიკა.  
შემდეგ გამოვეთხოვე მასპინძელს და დაფიქრებუ-  
ლი წავედი სახლში. ბზაზე ჩემს თვალ-წინ ყოველ  
წამს მეხატებოდა ის ახალ-გაზდა ქალი რომელმაც  
ტახტრეფანდილამ გადმოიწია და გადმოაგდო ცხვირ-  
სახოცი. ჩემს ყურებში გაისმოდა რაღაც მომჯა-  
დოებელი სახელი ნისსა, ნისსა! მთელს ღამეს არ  
დამიძინია, ისე ამერია ჭკვა-გონება.

გ. ხოშტარია.

(შემდეგი იქნება.)

## სახლური პოეზია

I ცას მოწმენდილსა დავესწარ—  
ვარსკვლავი ვნასე მრავალი.  
ბატონმა ციციშვილს მიმცა,  
ღმერთო, შენ მიუც ხარბალი!

II ბარელმა უთხა მთიულსა:  
„გიმხნდით მამლის ეიულსა,  
თათარნი შემოგუქნვიან,  
მარტვა ვერმოდით წეულსა!“



ქართული  
სიმღერის

# ნაკეცი

„კითხვა და პასუხები“

—გაზეგეთ თქვენი უივილი:  
ქვე გავექანეთ სვეულსა,  
კადაუჭერით ველები  
თათრს კაცვეულს-ძლეულსა!

III შენ გენაცვალე, ღმერთო,  
ჩვენი გამოსასწავლისო!  
ასლო-ასლო დაგვასახლე:  
ერთმანეთის ნახვისთვისო.

IV ჭარალო, ვარდის უბანო!  
ჯერ სარო, მერე გუთანო.

შეკრებილი ქართლში სოსიკოსიგან.

## ხალხური ბამოცანები.

ა. ძირი მიწას,  
შუა-საბჟელს,  
თავი შენს შევადრს და ცოცხალსა.

ბ. აკრახნილი დაკრახნილი—  
კერძად დაკრახნილი.

გ. უცულოთ და უნაჯახოთ  
სასლი მოსარატებული;  
შიგ ჯის უქუდო ვაჟ-კაცი,  
ულვაშ გაწკინებულნი.

დ. ერთი რამა სულიერი  
ნათლით იღებავს სელსაო,  
მისი ნათლის სელ-ნადები  
სულ ააშენებს თემსაო.

ე. ურახუნებს-უწკაპუნებს,  
მადის-მოდის-იქავეა.

ვ. თავი დაღმა,  
ბოლო აღმა,  
ფრთები ქქონდა  
აღმა-დაღმა.

შემო-იმერეთში შერ, სოსიკოსიგან.

ამ განყოფილებას საგნად აქვს ყველა ჩვენი გაზე-  
თის ხელის მომწერლების ახლოდ გაცნობა. — ამ  
ახლოდ გაცნობას, თქმა არ უნდა, რომ დიდი მნიშვნე-  
ლობა ექნება როგორც ყველა ჩვენი გაზეთის ხელის  
მომწერლებისათვის, აგრეთვე ყველა ჩვენი მკითხველ-  
ებისათვის.

ყველას უნდა მოეხსენებოდეს, რომ ურთი-ერთ  
შორის მიწერ-მოწერა, შესდგულობის და აზრების გა-  
ზიარება ერთმანეთში, ახლოებს მკითხველებს, — ამისთვის  
ჩვენს გაზეთში უწილადეთ ადგილი სადაც, ყველა ჩვენი  
გაზეთის ხელის მომწერთაგანს და მკითხველთაგანს  
შეუძლიანთ და სრული უფლებაც ექნებათ მონაწილეობა  
მიიღონ ხალხში. ეკ მონაწილეობა გამოიხატება იმით,  
რომ ყველას ვინც კი მოისურვებს, თავისუფლად შეუ-  
ძლიან მისცეს კითხვა თავის თანახმად მომწერლებს და  
მკითხველებს საუფრადღებო საგნის შესახებ. რაიმედ  
სიტყვა ვიდრე კითხვას-არის და კითხვაც. ზოგი კით-  
ხვა, რომელიც იქნება მეტად საუფრადღებო იყოს ერთი-  
სათვის, მეორისათვის შესაძლებელია სრულებით არ  
იყოს საინტერესო, და რა კი ერთხელ კითხვა ინტერესს  
მოკლებული იქნება, რა თქმა უნდა, კერძის უფრადღე-  
ბას ვერ დაიმსახურებს და პასუხსაც ვერ გამოიწვევს;  
ამიტომაც ყოველს პირს, რომელსაც ქსურს კითხვის  
მიცემა მკითხველებისათვის ჩვენი გაზეთის საშუალებით  
ყოველად უწინარეს მსედელოებაში აუცილებლად ის  
უნდა ქქონდეს, რომ კითხვა და პასუხი სწავლა-განა-  
თლებისა ისტორიისა და უმეტესად ტეატრისა შესახებ  
იყოს ხალხი მოკლე და მარტივი. ამით ჩვენ ის გვინდა  
ვსთქვათ, რომ ყოველ კითხვის მიმცემს სახეში უნდა  
ქქონდეს საზოგადოება გაზეთის მკითხველთა, რომლის  
წევრნი არც სქესობით, არც ხნით, არც შესდგულობით,  
არც განათლებას — განვითარებით, არც სასიათით და მიდრე-  
კილებით არ ქგანან ერთმანეთს — და მიმსგავსება შეუ-  
ძლებელიც არის. ამაში, ვგონებთ, ყველანი დაგვეთანხმე-  
ბიან. მაშასადამე ყოველი კითხვა უნდა ერთნაირად ინტე-  
რესს უჩვენებდეს ყველას, შედგომისკენიანი განსხვავე-  
ბათა გაურჩევლად. მოგიყვანთ მაგალითს: ჩვენს გაზეთსა  
ქყავს მკითხველები, ყოველი მკითხველი ცოტად თუ  
ბევრათ თვალ უურს ადევნებს „თეატრს“, — ამის-და-გა-  
რად ყოველი შენიშნა, ყოველ გვარი მსჯელობა ჩვენს



გაზეთის მეტ-ნაკლებობაზედ მკითხველებისათვის სან-  
ტერესია, მაშასადამე, ყოველ გვარი ბასია ამ საგან-  
ზედ შესაძლებელია, — კითხვა იქნება იგი თუ შენძენა,  
ქება თუ ძაგება. საქმე მხოლოდ ის არის, რომ კი-  
თხვამ და საგანმა ინტერესი გააცხოველეს, ბასია გა-  
მოიწვიოს თვითონ მკითხველთა შორის, და თუ ეს ასე  
მოხდება, მაშინ ჩვენ უშიშრად შეგვიძლიან ჩვენი სურ-  
ვილი გაზეთის გაუმჯობესებად ჩავთვალოთ და უმეტესი  
სელ-მოძქვინი და წამკითხვენი ბოლოს მოვიზიდოთ ვი-  
სურვებთ, რომ ჩვენი განზრახვა მართა განზრახვად  
არ დაჩხეს. —

მოხუცის სიმღერა.

II.



ასაცა მხედრეთ ესა ვარ,  
ყოველთვის ერთი ფერი;  
და ერთად ერთი სიმღერა  
ვიცი და იმას ვმღერია.

ვერ მოძლის ცისა ღრუბელი  
ჭაერში მოძრაობასა;  
ძივ მზისა შუქი ვიკაჟად  
ჩარევას, ბანაობასა.

ვერ მოძლის ტბილი ნიაჟი  
წუნარად და ნაზად ჭქროლასა;  
წვალნი მთიდ ვადმოძქუსაჟნი,  
მედგორად ზვირთების სროლასა.

ვერ მოძლის ჯისვი, სარ-ღალი,  
ქორებლივ მთიდგან ცქერასა,  
ვადგომას საგრილობელად,  
შუბლის ქარისკენ შვერასა.

ვერ მოძლის შავარდენიცა  
ნადირობ მსხვერზლის ზვერასა,  
და შურთსი, ნაზი ფრინველი,  
თავისებურად ძღერასა.

მათ შორის ნაწრობ, ნაკალი,  
მთიელი კაცის ბუნება,  
ვერ მოძლის თავისს ცსოვრებას,  
ვერ შეცვლება გუნება!..

ვერც მოძლის თოფის ჩახმასსა,  
ვერც მის შვილდს მოედუნება,  
თუნდ თითონ ზეცამ დასტკეოს,  
ოდნავ არ მოიღუნება!

აღ. მახსუბარძიქ.

# კვირიდან კვირამდე

ამ წლის შემოდგომაზედ, პეტროპოლში გაიხს-  
ნება ტენიკური სასწავლებელი საფოსტო და სატელეგრაფო  
განყოფილებისა. ამ სასწავლებელში მიიღებენ იმათ, რომელ-  
თიც შასრულებული ექნებათ რომელიმე საშუალო სასწავლე-  
ბელთაგანი (გიმნაზიები, რეალური სასწავლებელი და სხვა)  
ხოლო მატყმატიკიდგან და ფიზიკიდგან ეგზამინები ხელდა-  
ლად უნდა დაიჭირონ იმ კურსით რა კურსიც არის დანიშნუ-  
ლი ყველა გიმნაზიებისთვის.

ახალს სასწავლებელს საგანთ აქვს ტენიკური მომ-  
ზადება ყმაწვილ კაცთა, რომელთაც შემდეგი ადგილი მიეცე-  
მათ ფოსტის და ტელეგრაფის გამგეობაში.

სასწავლებელს სამ წლიური კურსი იქნება კარგათ  
შემსრულებლეს ორი წლის შემდეგ, სახელათ მიეცე-  
მათ ტელეგრაფის ინჟინერი, თუ კი წარმოდგენენ მოწმობას  
ტენიკური საგნების კარგათ შესწავლისას.

მოსწავლეთ სწავლისათვის ფულს არ გამოართმევენ. ყო-  
ველი მოსწავლეთაგანი (30 კაცი იქნებიან თითო კურსსზე) მი-  
იღებს წელიწადში საჩუქრათ 25 მანეთს; ისინი კი, რომელნიც უკვე  
ყოფილან ტელეგრაფის სამსახურში და რომელთაც ქსურთ ამ  
სასწავლებელში შესვლა (რასაკერეღია თუ ნება და უფლება აქვთ  
ამაზე) მიიღებენ იმ დამატარს, რომელსაც ადრე იღებდნენ.

ამ სასწავლებელს ექნება შეჯად მოხერხებული სადგო-  
მი ახალ-ისთავიერს ქუჩაზედ, ს. № 18.



ქართული  
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

◆◆ ქართული დრამატული დასი ვასილ ალექსის-ქე აბაშიძის გამგეობის ქვეშ ვიდრე გავიდა თბილისიდან. პირველი წარმოდგენა გაუმართავთ გორში. ხალხი ბლომად დასწრებია წარმოდგენას. აი სხვათა შორის ვისგან შესდგება დასი. მ. მ. საფაროვი—აბაშიძისა, ვ. მ. მელიქოვისა, ვნ. ქეთევან ანდრონიკოვისა, ვასილ აბაშიძე, ალ. მოხევე. დ. აწყურელი, სუფლიორთ და დეკორატორი.—დასის რეპერტუარი შესდგება შემდეგი პიესებიდან: ცხოვრების ოანამოგზაური დრამა. ეს ღან დელი სიყვარული კომედია, ხათაბა-ლა კომედია, სადავო მფლობელობა კომედია, პარი-უელი ბიჭი კომედია. და ვადევილები: ბაიყუში, გულმა იგრძნო, დატრიად და ფარა, სუსტი მხარე, რეგვინი საქმეს გააფუჭებს ფათერაკს დაახრალეებს. წარმოდგენას გამართავენ შემდეგ ქალაქებში. გორში 1, ცხინვალში 1, ქუთაისში 3, ფოთში 2, ბათუმში 2, ოზურგეთში 2, ზუგდიდში 1. სურამში 1, ბორჯომში 1, ახალციხეში 2 და აბასთუმანში 2—ივლისის დასაწყის დასი უკან დაპრუნდება და კახეთისკენ გაემგზავრება.

ამ ცოტა ხანში გამოჩენილი მომღერალს ბარბოტონს შანაძლის თავი მოუკლავს სწორედ წამოდგენის დროს. მიზეზი არეინ იცის; არ იცის აგრეთვე რითი მოუკლავს თავი.

გამოჩნილს ედისონს, რომელმაც თავისი სანგრი-ლა-სინტონსლე, ელექტრონის გამოკვლევას შესწირა და რომელმაც ბუკრი რამ გამოუაშკარავა ქვეყნიერებას—ამ ცოტას ხანში ვიდრე გამოიგონა ერთი ფრიად სინტონსლე წერილების გაგზავნის საშუალება, ჯერ-ჯერობით არ აცხადებს თავისი პლანს, ხოლო ის ვი იცინა; რომ ედისონის პრებორით უტელეგრაფით და უფორტოთაც შეიძლება წიგნების გზავნა ერთი ქალაქიდან მეორეში.

16 ამ თვის სამსუდრო სამჯავრომ განიხილა ოსკო ლადვიანიშვილის საქმე, შესასებ რექტორი ჩუდუ-რკის მკვლელობისა. დილა ადრინად სამჯავროს წინა აუარებელი ხალხი მოგროვდა. სწორედ საღამოს თერთ-მეტის სასკანს, სამსჯავრომ შეიძვეტი განიხილა გამო-ცხად: გაიგზავნოს ლადიუვი 20 წლით კატორღში.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წერილი რედაქტორთან  
(სათავად აზნაურო ბანკების გამო)

ბატონო რედაქტორო! უმოპოვო გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივ-ცემული გაზეთში, საგანი, რომელსაც მე მინდა შევეხო ყველასათვის საინტერესოა, ამიტომაც იმე-დი მაქვს, რომ უარს არ მეტყვიით.—

ზაზეთ „ნიკერიის“ № 110-ში იყო დაბეჭდილი ბ. აკაკი წერეთლის წერილი, რომლითაც ამტკი-ცებს ჯერეთ უდროობასა სათავად-აზნაურო ბან-კების დაფუძნებისასა საქართველოში და მერე მისს უკუღმართად წარმოებან.

უდროობის საბუთად მოჰყავს თავად-აზნაურო-თა ორი თვისება. ა, ფულის უსარგებლოდ გაფ-ლანგვა, გინდ ეს ფული ვალადაც იყოს ნაშოვნო, და ბ, საქმის დაუდევრობა, უზრუნველობა, მე-ტადრე მაშინ, როდესაც ეს ზრუნვა შრომას ით-ხავს საქმის ქაზრაკების გასაცნობლად,—დაუდევ-რობა ხელის მომმართავე ზოგიერთა, უკუღმართი მოღვაწეებისა.

ჩემის აზრით, ამის პასუხად უფრო სამართ-ლიანი იქნებოდა და უფრო საქმის აწინდელი გა-რემოების შესაფერი შემდეგი სიტყვები: „ქა-იქა გადაცდენა დანიშნული წრიდან, როგორც მირ-ზოვეის შენობათა გარდამეტებით დაფასება და ზო-გიერთი სიტყვის მიუღებლობა კრებისაგან, ვერ დაამტკიცებს ბანკების უფ რვისობას, რადგან არაფ-რისა და არა რა მოძრაობა არა სრულდება ბუნე-ბაში მცირეოდენ გადუცდენელად.

რაკი ბანკები დაფუძნებულა ასე, თუ ისე, ახლა დრო გამოაჩენს მოსარჩლე-მოწინააღმდეგეთ სიმართლე-სიმტყუნეს,—დრო, ყოველი საქმის ხან დამაგვირგინებელი, ხან დამმიწებელი; ხოლო ეს დრო, თავის მხრივ მოცდა-მოთმინებას ითხოვს. ამ შემთხვევაში ჩვენი ვალა მხოლოდ შემძლების და-გვირად დავეხმართ მათს კეთილ დღეობას.

მაგრამ ბ. „ნიკერიის“ რედაქტორს ოთხი მო-წინავე სტატია № 120, 121, 122 და 123,—შე-უწირავს ამისა დარღვევისა და წინააღმდეგი ჰაზრის დამტკიცებისათვის; მხოლოდ ვერც არა დასარღვე-ვი დაურღვევია და ვერც არა დასამტკიცებელი და-უმტკიცებია.

მს გარემოება უფრო შესანიშნავი და სპასუ-ხო იმიტომ არის, რომ ბ. რედაქტორი იგივე



თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველია მისი დაარსებამდე. „ივერიის“ რედაქტორის დასკვნა უფრო მისგან მოყვანილს მაგალითში გამოიხატება და ამისთვის წარმოვუდგენთ მკითხველებს ამ მაგალითს და მისს განხილვას.

შვიდ წლის ომის შემდეგ პრუსიის მიწათმფლობელი ჩვენზედ უარესს მგომარეობაში ყოფილან მით, რომ ომიანობის დროს სახლები და საოჯახო შენობანი გადასწვიათ, პირუტყვი საქონელი უქმელობისაგან დახოციათ, ესე იგი, ჯარებს მოუწმენდიათ ხოლმე მინდვრის ნათეს-უთესი მოსავალი და მამულის მეპატრონენი მოჰკლებიან ყოველ წლიულ სარჩოსა და სხვა საცხოვრებელსაცა. თუმცა ომიანობის დროს მრავალი ფული უშოვნიათ, მაგრამ ჩვენებურ ბედოვლათად გაუფლანგავეთ და შემდეგ ხაზინას რომ მათთვის ბანკები გაუხსნია, აქედგან აღებული ვალით მოუბრუნებიათ თავისი ცხოვრება.

ჯერ ეს აბნელებს საქმეს, რომ მტრისაგან აკლებული თავის-თავისაგან აკლებულს შეეღარება; მაგრამ გავსინჯოთ მაგალითი სხვებზე.

რადგან მამულის მეპატრონეებს პირადი სამსახურის მეტი არა შეუძლიანთ რა ომიანობის დროს, ამისთვის ფულის შოვნა შეეძლოთ მათ მხოლოდ ხაზინიდგან, მაგრამ ამისთანა აკლებულს ქვეყანაში ან ხაზინას რა ჰქონდა იმდენი, ან ბედოვლათი მემამულეები რას მოანარჩუნებდნენ თავისს დღიურს საჭიროებას, რომელიც მტერთაგან გარს შემორტყმულ ქვეყანაში და მისს დროს უგზობის გამო ერთი ორმოცად უნდა გაძვირებულ იყო. მაგრამ დავიჯეროთ, რომ ბევრი ფული უშოვოთ, დავიჯეროთ ისიცა, რომ ამ ფულით აღარც საქონელი იყიდეს, აღარც სახლები და საოჯახო შენობები გაიხლეს და აღარც თესლი იყიდეს თავისი მამულის გასანაყოფიერებლად, დავიჯეროთ ისიცა, რომ შეიღის წლსს განმავლობაში ეს მრავალი ფულიც უსარგებლოდ გაფლანგეს და ამისმა მნახველმა მთავრობამ მაინც კიდევ ასე ისწრაფა ბანკების გახსნა; დავიჯეროთ ისიცა, რომ ამ ბანკებიდგან აღებულმა ვალმა მოაბრუნა პრუსიის მემამულეთა დაცემული ცხოვრება და ფეხზედ წამოაყენა ცალ-ცალკე ყოველი მათგანი—დავიჯეროთ, მაგრამ ერთად შესათანახებელად და საერთო დასკვნის გამოსაყენად, საჭიროა აიხსნას შემდეგი კითხვები: ა, პრუსიის მემამულეთაგან ბევრი ფულები შოვნა იმ დროსვე და იმავე მი-

ზეხით, რომელთაც იგინი მთელი საცხოვრებელი დგან დასცალეს, შეცდომა ხომ არ არის და ცნობების ერთმანეთში შერევნა: ამისთანა დრო და გარემოება უფრო ხარჩებსა და ვაჭრებს უმართავს ხოლმე ხელსა; თუ ეს აღმოჩნდება, მაშინ ცხადია, რომ თორმეტის წლის უკიდურესს მდგომარეობაში ყოფა ფულის ყადრს ასწავლიდა, და ჩვენ არაფრით გვეგვანებოდნენ, რადგან მაგვარი ერთწლობითაც არ გადაგვხდებოდა—რა, არამც თუ დიდხნობით. ბ. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პრუსიელი მამულის პატრონები ომიანობაში ნაშოვნ ფულს ჩვენებური ანდაზის ძალით მოექცნენ; ქარის მოტანილი ქარსვე გაატანეს, და რა რომ ოფლით საზღვევი ფული იშოვნეს, ეს ფული მამულის გაუმჯობესობას მოახმარეს; მით მამული მომცემლობაზედ გახალისეს; მამულის კარგმა გამოცემლობამ თერთონ მემამულეთ მხნეობა წახალისა და ასე ურთიერთის წახალისებით საქმე მათი კეთილად წარმართა? ამ შემთხვევაშიაც არ ვემსგავსებით პრუსიელს მებატონეებს, რადგან ბევრი ოფლით საზღვევი ფული გავატანეთ ქარსა. გ. ამ ორ მიზეზთაგან რა კი არც ერთი არ გამართლდება, მაშინ დავგრჩენია-ლა ვიფიქროთ, რომ თვითონ ბანკის ვალს ჰქონია თვისება, რომლითაც ზღაპრულ ფასკუნჯსავით შეგისვამს ფრთებზედ და გონება-სხეულ დაუღალავად მიგიყენას კეთილს ცხოვრებაში. თუ პირველი ორი დასკვნა უარ-გვყავით, ამ მესამის უარ-ყოფა მაინც აღარ შეიძლება, თორემ ავტორიტეტად მოყვანილი მეცნიერისადმი ნდობა შეირყევა; ხოლო რაკი ამ ჰაზრს მკვიდრად დავადგებით, მაშინ სტყუიან ყველა იგინი ვინც ბანკების დაფუძნებას უდროოდ უწოდდა, ან უწოდს.

პრუსიის ცხოვრებიდგან მოყვანილს მაგალითს და აგრეთვე ბ. ბაკი წერეთლის წერილს მეორე მხარეცა აქვს გასასინჯი—შესახებ ბანკების მმართველობისა და ზედამხედველობისა დამფუძნებელთაგან. შეიძლება ვალად აღებული ფული მამულს მოახმარონ სანაყოფიეროდ და ამით ბანკი სასარგებლო იყოს, მაგრამ უზრუნველობისა და დაუდევნელობის გამო ფრთხილი და ჯეროვანი ზედამხედველობა არ იქონიონ, როგორც საზოგადო საქმეზედ, და ჩვენს ბანკებსაც თავ-თავისი რიკოვი (Рыковъ) გაუჩნდეს. მაინც ისეა, რომ როდესაც ზედამხედველობა ფეხზედ და სასტიკად პირ-უთნებელი არ არის, მაშინ ძალიან ადვილად იჩენენ

ეროვნული  
საბჭო

თავს რიკოვის (Рыковъ) მიმგვანი მოღვაწეები. მაგრამ ამ მხარეს „იკერიის“ რედაქტორი არ არჩევს და ამისთვის მეც გვერდზედ ჩაუვლი დრომდის და ვეგება ბოლოს მოგუბრუნდე.


მაინც და მაინც პრუსიის ცხოვრებიდან მოყვანილი მაგალითი ამ საბაასო საგნის განსამარტებლად მიემგზავრება იმას რომ ყურის მოსაფხანად კისერზედ გადიწვდინო ხელი, ან კიდევ იმას, რომ გენერალმა ჰკითხა იუნკერს ცაში რადენი ვარსკვლავიაო და მიიღო პასუხად „იმდენი, რადენიც ჩემს სკლად მოსილს თავზედ ბეწვიაო“ და თან დიდი ვედრება რომ ბ. გენერალს შეემოწმებინა ამ ჩვენების ჭეშმარიტება დათვლით თავზედ ბეწვებისა და ცაში ვარსკვლავებისა, თორემ შინ რომ მაგალითები გვაქვს ჩვენის თვლით ნახული, ჩვენგან გაზომილ-აწონილი, და მათვან გამოწვეულის ფიქრებით განსჯილი, რად გვინდა გარედგან მოტანილი მაგალითები თუ ჭეშმარიტებით საქმის ახსნას ვებრძვით და ვსცდლობთ ნათელში გამოვიტანოთ იგი საყოველთაოდ დასაანახად, გასასინჯად, და არა ბნელში შევიტანოთ, სადაც წყვიდადის მფარველობით მაცთურება შავსა თეთრად აჩვენებენ და თეთრსა შავად.

აი, შინაური მაგალითები რას გვიმტკიცებენ შესახებ გასარჩევი საგნისა: ა, პრიკაზის გამოწვევები ფული, რომ უბრალოდ და უნაყოფოდ დაიხარჯა, ეს ყველამ ვიცით, და, თუ სწორედ ვიტყვით, არც ჰქონდა მას ის დანიშნულება, რომ მამული გაეუმჯობესებინა. მინც კნიაზ ვორონცოვთან დაახლოებული იყო, იმას სჭირდებოდა ფული მისი ცხოვრების მისაბძავად, და დანაშთენებიც ამ პირველი მიზნაძეგების მეორე, მესამე და მეოთხე რიგის მიზნაძეგებად შეიქმნენ ცხოვრების ცვლაში. (ბ) ამის შემდეგ მიიღეს ყმების სამაგიერო ფული და, აბა თუ ორასი თუმანი მაინც შეიტანა ვინმემ პრიკაზში თავნის ვალის შესამცირებლად, თუმცა რაოდენად ვის მეტი ემართა პრიკაზის ვალი, იმოდენად მეტი მიიღო ყმების სამაგიერო ფული; (გ) რაკი ყმების სამაგიერო ფულიც ქარს გაატანეს, ვეღარ შეიძლეს იმ ასსზედ ექვის ძლევა, რომელიც წლიურს სამატსა და თავნის სახდელს შეადგენს და პრიკაზმაც მოუთმინა თორმეტ—თხუთმეტ წლამდე; (დ) ამ მოთმინების შემდეგ იმპერატორმა იწება ამ ვალის ნახევრის პატივება და მეორე ნახევრისაც განაწილება მან წლობით, მაგრამ უზომო შეღავთმაც ვერ შეატანინა ჩვენს თავად-

აზნაურებს წლიური საძლევი. ამასთან დაკავშირებით იტყვას, რომ ამ ხანებში ქართველებს არა სწევით არაფერი უბედურება მამულის შემოსავლის დასამცირებელი. (მ) წარმოიდგინეთ ისა რომელ თავად-აზნაურთაგანმა როგორ მოიხმარა თავის ბანკები-დკან ვალად აღებული ფული; (მ) წარმოიდგინეთ ისიცა, როგორ გაქრა სოფლებში გამართული შემნახველ-გამსესხებელი კასები და ბანკები; (ზ) წარმოიდგინეთ სხვა და სხვა საზოგადო დეპოები რომელნიც აგრეთვე გაუქმდნენ. წარმოიდგინეთ ეს ყოველივე და ცხადად დაინახეთ იმასაც, რომ როგორი მოხმარება ვიცით ფულის, და იმასაც, რაოდენად ფხიზლად და პირუთნებელად ვეკიდებით ყოველს საზოგადო საქმეს.

ბარეული მაგალითის ნაცვლად რაკი შინაურ მაგალითები დავადგინეთ, ახლა საჭიროა მოისმინოთ მცირეოდენი შენიშვნა, რომლის ჭეშმარიტება შეიძლება მეცნიერებამ არ მიიღოს, და ჩემად საკუთრებად დარჩეს, მაგრამ მაინც „თქმას ვამჯობინებ არა თქმასა“. ბუნებას უყვარს წინმსვლელობაში, — როგორც თავის — თავად, ისე იმ შემთხვევაშიაც, როდესაც კაცის ხელოვნება ურევია, — სიწყნარე და მწყობრობა, ჰარმონია. მართი მეორეს უნდა ეთანხმებოდეს, მეორე — მესამეს და ასე ყველანი ერთად აუჩქარებელივ მსვლელობდნენ. მინც და რაც ამ წინმსვლელობის წესს დაარღვევს, იმას ელის სასჯელი: უკუშლველობა. ამასთან ესეც წარმოვიდგინოთ, რომ ცხოვრების წინმსვლელობა ჰგავს ციკაბო აღმართზედ მიმავლობასა და უკუშლვა-დაღმართში დაქანებასა, და მაშინ აღვიღოდ ვიგრძნობთ, თუ როგორ ძნელია, რომ ერთმა აჩქარებულმა ნაბიჯმა, ან სხვა ამ გვარმა მიზეზმა, ერთის საათის განმავლობაში თავ-პირის მტვრევით ჩამოაქანოს ათის წლის დიდას ჯაფით შევლელი აღმართი. რასაკუთრელია ძნელად-ღა შევიძლებ მოვიკრიბო მხნეობა, ხალისი, იმედი და ღონე იმავე სიმაღლეზედ ასვლისათვის.

ამიტომ იტყვიან ზოგნი გონიერნი და გაზომილ-აწონილი საქმის მოყვარულნი, რომ აუჩქარებლად ნიადაგი მოუმზადოთო გადმოსარგავად სანატრელს მცენარესა, მოვლა-ფარეზი ვისწავლოთო და მერმე გადმოვრგოთო. ამასზედ აღრე გადპორგვა თუმცა ყოველად სანატრელი მცენარისა დაატკობს მხოლოდ ბავშვებსა, რომელნიც განუსჯელად ესწრაფებან ყოველს ახალს შემოღებას და ძლიერ-



რის მალა-ყნოსვით შეტურვილთ კაცთ, რომელნიც ახალის საქმიდგან გამოვლიან ამ მალა-ყნოსვის და-კმა-ყოფილებასა.

სიფრთხილეს, წყნარს და მწყობრობით წინ-სლვას გვიმტკიცევენ ბ. რედაქტორისაგან მოყვა-ნილი ნაცნობი მაგალითებიცა: ყმების განთავისუ-ფლება, რკინის-გზის გაკეთება და სხვანი. აი, რო-გორ. რუსეთში ბატონ-ყმობა თითქმის იმ დროს დამკვიდრდა დაბოლოვებით, როდესაც მეროპაში დაწუნებულ იყო ეს მდგომარეობა რა საკურფე-ლია ეს კარგად ესმოდათ რუსეთის ხემწიფეთა, მე-ტადრე პეტრე დიდს და მკატირანე მეორეს, მაგრამ გარემოება მთელისა, ესე იგი სახელმწიფოსი ითხო-ვდა ამ გვარს შესაწირავს და უარის თქმა არ მო-ხერხდა. ამ გარემოებათაგან ორს უმთავრესს მო-ვიხსენიებ გასამართლებლად ზემო თქმულისა.

ხელმწიფობას ეჭირვებოდა ერთგული მოსამ-სახურეები; ერთ-გულს სამსახურს რიგიანად დაჯილ-დობა უნდა; დასაჯილდობლად ხელმწიფობას ხა-ზინა ნაკლებად ჰქონდა; ამას მეორეც დაერთო: გლეხები, ერთად ერთნი მოხარჯე—მობეგრენი თვი-თო, ორ-ორ კომლობით და მთელ-სოფლობრივ ემალეზოდნენ ხოლმე უსიამოვნო ხარჯ-ბეგრის მო-თხოვნილებას სხვაგან სადმე უხვედრს მინდორში გადასახლებით, და ამ გვარს დამაღვას წამალი ვერა დაუდევს რა; წამალი კი საჭირო იყო იმიტომ მაინც, რომ ბანა-დაუდებელი, ველურად აქა-იქ მცხოვრები გლეხი ხარჯის მძლეველადც უძღლური და უქონელი გახდებოდა. ამისთვის მამულეები ზედ მცხოვრებელი გლეხებითურთ ჯერ ჯამაგირსავით მოსაქმელად მიაჩემეს ადგილობრივ ვოევოდებს და მერმე სრულებით საკუთრებად დაუმტკიცეს. რა-კი სახელმწიფო საქმები ჯეროვანს წესში მოვიდნენ, ხალხმა ბინადრობა შეიყვარა და მამა-პაპის კერის ადვილად ვეღარა სთმობდა; რა-კი სახეამწიფო სამ-სახურისათვის დაჰაჯილდობლად შემოიღეს ჯამა-გირი, ჩინება, ორდენები და მერმე პენსია, მაშინ შეუდგენენ ყმების გათავისუფლების ფირქსა, მაგ-რამ მანამ კიდევ ვერ მოიყვანეს ფიქრი აღსრუ-ლებაში, ესე იგი, მარტო ის ვერ იკმარეს, რომ ყმობის უსამართლობას სწრაფად და დაუყოვნე-ბლივ ეჭირვებოდა მოსპობა. როგორც დაუმოწ-მებელს, თავი დავანებოთ იმ ცნობას რომ ვითომ იმპერატორს ალექსანდრე კურთხეულს და მისს მინისტრ სპერანსკის მზად ჰქონიათ ყმების განთა-ვისუფლების წესდება, მაგრამ აღსრულებაში მა-ყ-

ვანა ვეღარც-კი გაუმხელიათ, ამას თავი დავანებოთ და მოვიყვანოთ მაგალითი იმპერატორის ნიკო-ლოზ პავლისძის ხელმწიფობიდან, რომლიდამაც ცხადად დაინახება, რომ ამასაც აწუხებდა ყმების მდკომარეობა. ათასი კომლი თავისუფლების მიძი-ებელ ოსების სამსახურის ნაცვლად კნიაზ მორონ-ცოვმა გამოითხოვა 1849 თუ 1850 წელში ხელ-მწიფისაგან თავად მაჩაბლებისათვის ხუთასი თუმა-ნი სამუდამო პენსია. ინება რა ხელმწიფემ ამ პენ-სიის ბოძება, უბრძანა მორონცოვს მოეკითხნა ნუ თუ სხვა მებატონებიც ისურვებდნენ ამ გვარად ყმების განთავისუფლებასო. ბაეიდა ამის შემდეგ თხუთმეტი წელიწადი და ნატვრა ბრძანებად გარ-დაიქცა.

(შემდეგი იქნება.)

# რამბო-რუმი

თავადი ისე ფავლენიშვილმა საშინელი ოფლი იტოდა. ერთხელ მეფლიმწოდ, სხადც მრავალი სხალ-გა-ზღობა იყო, სხვათა შორის ისეც იჯდა და ვასურის ლენით შექტეოდა. რა თქმა უნდა ოფლი ჩვეულებრივ ნიაღვარისავით სდიოდა.

— კნიაზო, უთხრა ერთმა იქ მეოფმა სხალ-გა-ზდა კაცმა, ნეტა რა სასჯელს ეწვეით, რომ ასე იწურებით ოფლშიო?

— ჭე, შვილასა! ოფლი კი არა, რატომ სირ-ცხვილით არ დავიწვები, თქვენთან რომ ვსივარო, მიუ-ვო თავადმა ისეუბ.

ჩონგურ-მაიორი.

ორი ამხანაგები ერთად სხედან.

— მე საშინლად მიხარიათ სოლმე, როდესაც გავი-გებ, რომ მდიდარს კაცს ღარიბი ქალი შეურთავსო, სთქვა პირველმა.

— მე რას სედავ აქ სასინარულოს?

— ვა! სასინარულოა, მაშ რა ოხრობაა, ბიჭო! აბა დაფიქრდი; ყველა ღარიბი ქალბი მდიდრებმა რომ შეერთონ, მაშინ ყველა მსითვიანი და მდიდარი ქა-ლები ჩვენთვის დასხება.

მეჭორე.



არითმატიკული გამოცანები.

თუ კი ფულები კაცს აფუჭებენ, რატომ არ შეიძლება, რომ კაცმა ფულები გააფუჭოს.

მწიერი ფილოსოფოსი.

მებაღეს ჭკითხეს. ამ კალთაში რამდენი ვაშლი გაქვს? მებაღემ უპასუხა: არ ვიცი შენი ჭირბიე, მსაღმრთო ის ვიცი, როდესაც წვეილ-წვეილათ ვსთვლი, მაშინ ერთი მეტი მრჩება, როდესაც სამ-სამად, მაშინ ორი მრჩება, როდესაც ოთხ-ოთხად, მაშინ სამი მრჩება, როდესაც ხუთ-ხუთად, მაშინ ოთხი, როდესაც ექვს-ექვსად, მაშინ ხუთი, როდესაც შვიდ-შვიდათ, მაშინ ექვსი, როდესაც რვა-რვად, მაშინ შვიდი, როდესაც ცხრაცხრად, მაშინ რვა და როდესაც ათ-ათად, მაშინ ცხრა მრჩება. რამდენი ვაშლი ჭქონდა მებაღეს კალთაში?

ტილი პუჭური.

ზიანდობის შემთხვევაში მშვენიერი სამკურნალო წყლები ავად მყოფებისათვის, მაგრამ ამასთანავე საუცხოო წესები აჩვენებს, მაგალითად: ჩამოვიდა ერთი დასვენებული მოსუფი კაცი და პირდაპირ აბანოებისაკენ გასწია.

— თქვენი ზანდობა? ჭკითხავს წესის დამცველმა.

— რად გინდათ ჩემი ბილეთი? ესა, ესა გდავეცი ჩემი სახლის პატრონი—მიტონა, პოლიციისი უნდა წარვადგინო.

— ეგ ჩვენთვის სულ-ერთია, თქვენ უთუოდ უნდა წარმოადგინოთ ბილეთი, თორემ უბილეთოდ აბანოში შესვლა უკლებლივ შეუძლებელია.

— რა გქნა წავალ, იქნება სახლის პატრონი ვიდრე გამართებული ჭქონდეს პოლიციელისაგან. წავიდა და მოიტანა კიდევ ბილეთი.

— ეგ ზანდობა დამოწმებული არიან. მოსუფმა გასწია პოლიციისკენ. მივიდა.

— თქვენ თავდა-პირდაპირ უნდა წარმოადგინოთ ექიმის მოწმობა, რითა ხართ ავად და როგორ უნდა იმკურნალოთ თავი. გასწია ექიმისაკენ, ექიმი ეუბნება:

— უფროსი ექიმისაგან უნდა გქონდეთ მოწმობა, ისე ვერ დავაიმწმებ. რას იზამდა. გასწია უფროსი ექიმისაკენ. ასე რომ მესუთუე დღეს ავადმყოფს იქონი გაუჭმადეს—აი ესეც სამკურნალო წყლები, გამაცრუნებელი აბანოები!...

ჭაერი

ეზოში დგას ერთი ბოძი, რომლის სიმაღლე 13 არშინს შეადგენს. ბოძის ძირს მიმაღლდა ერთი ჭია, ღამით ადის ბოძსად მსაღმრთო ოთხი არშინის სიმაღლესად და დღით კი 3 არშინს ისევე ძირს ეძვება. რომელ დღესად იქნება ჭია ბოძის წვერზე?—

19 გამოძირისკეთ ერთი, რომ დაჩხეს 20?

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ 45—დან გამოვიტყოს 45 და ბოლოს მანც დაჩხეს 45?


რა რიცხვი უნდა გამძრალო ერთზე, რომ გამოვალაგო შეძვე მანც ერთი დაჩხეს?

ც-ნგლიანი მატემატიკოსი.

თეატრი და მუსიკა.

ა. გ. რუბენშტეინის თავისი კონცერტები ინგლისში უკვე დაუმაჯურებია. სულ გაუმართავს 106 კონცერტი, რომლიდან 41 დარბი არტისტების სასარგებლოდ უოფილა; დანარჩენი კი 65 თავისი სასარგებლოდ, რომლის შემოსავალი შეადგენს სულ 200,000 მანეთს, ხოლო ამ ფულიდან 80,000 მანეთი დარბი სკოლებისათვის შეუწირავს. ინგლისის გაზეთები აღტაცებით იხსენიებენ რუბენშტეინის ქველ-მოქმედებას და მართლდინდ არიან ჩვენს მატერიალური ჭანჭან-წყვეტის დროს ასეთი გულ უსვი ქველ-მოქმედება მეტად იშვიათი მოვლენა, მეტადვე არტისტებისაგან. „რასაც გასცემ შენია, რასაც არა დაკარგულია“ ჭეშმარიტი სიტყვების და ჭეშმარიტად უსდება გამოჩენილს და გულ-გათად ა. გ. რუბენშტეინს.

ერთი იმპერატორის თეატრის არტისტი, ანლო ნანდობი ა. ასტროვსკისა, როგორც გვატყობინებს გაზ. „Ноб.“, სწერს თავის წარსულ მოგონებებს, რომელშიაც იქნება ბევრი საინტერესო მოთხრობანი გამოჩენილ გარდაცვალებულ დრამატულ მწერალზე.



ხვა სხვა-და-სხვა კუთხიდან.

ჩვენ მივიღეთ ბ-ნი ა. ცხვედამის გრძელი წერილი ზასუსად ბ-ნი ლადო გულისაშვილისადმი. მართალია, ბ-ნი გულისაშვილის წერილი--კორესპონდენცია ჩვენ გახეთში დაბეჭდილი იყო, რომელიც, უეჭველია, მკითხველებსაც ესმობათ. ბ-ნი გულისაშვილი აშკარაა ზოგიერთი უწესობებს საგარეჯოსი დეპოსა და ბანკისას და სხვათა შორის შეესებოდა ბ-ნი ა. ცხვედამისაგან საქმის კოჭლად წაყვანას... რა თქმა უნდა, რა კი ერთხელ ბ-ნი გულისაშვილის წერილი დაბეჭდილი იყო ჩვენს გახეთში, ჩვენ სწეობრივ მოვალენი ვართ დაბეჭდოთ აგრეთვე ბ-ნი ცხვედამის ზასუსიც. ეს ჩვენ წესად გვაქვს დადებული და ყოველ შემთხვევაში ასე ვიქცევით სოლმე, მაგრამ ბ-ნი ცხვედამის წერილის დაბეჭდება არ შეგვიძლიან და, აი რა მიზეზითაც; ჯერ ერთი, რომ წერილი მეტად გაჭიანურებულია (სამი თაბასი ორივე გვარდხედ დაწერილია) მეორე და უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ წერილი უშეგრი სიტყვებით და ლანძღვა-კინებით სივრძე-სივრძე-სე აჭრელებულია. ამ ლანძღვა კანებით ბ-ნი ა. ცხვედამე თავს რომ იმართლებდეს კიდევ ჭო-- შესაძლებელი იყო დაგვებეჭდა წერილი, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ბ-ნი ა. ცხვედამე საქმესედ კრინტსაც არ იღებს და დაწერილებით ლადო გულისაშვილის და მისი კომპანიის ჭუჭყიანი ბიოგრაფიას დიდის ექსით მოგვითხრობს. ჩვენ ამ ვარემობასაც არ მივხედავდით--დაბეჭდავდით ბ-ნი ცხვედამის წერილს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბოლოს თვითონ ბ-ნი ცხვედამესვე თავისი ზასუსი სათაკილოთ გაუსდება--ამიტომაც ვამჯობინეთ: წერილი იმ სახით, რა სახითაც დღეს არის, არ დაიბეჭდოს. სოლო ჩვენ სრულიად თანა ვუგრძობთ ბ-ნი ა. ცხვედამის საფუძვლიანი თსოვნას, რომელიც წერილის

ბოლოს არის მოქცეული და ვბეჭდავთ ზემოთ „სიმართლის აღსადგენათ და მის დასაცველად მივმართავ ამ სტატიის ბოლოს კეთილ გონიერ მკითხველ ქართველთ, რათა მათ ამოიზიონ საქმის მცოდნეთა და სხვანი დასთანდა შორის მედიატორები და მათ მიედოთ ვარჩევა ადგილობრივ, როგორც ჩემი მოქმედებისა, ისე ლ. გულისაშვილისა და მისი მომხრებისა, რომელთაც ვითომც სასოგადო საქმეების გულ-შემატკივრობით ჭსურთ აღმოჩინოთ რაიმე ბოროტება, როგორც ბანკისა აგრეთვე დეპოსი.

ა. ცხვედამე.

„თეატრის“ ფოსტა

ბ-ნს ც—ს თქვენი ლექსი „ამირანი“ ვერ დაიბეჭდება. ამირანი ძველი ტემაა და თქვენი ლექსი კი ახალს ვერაფერს გვეუბნება, ეს კიდევ არაფერი—ზოგან თარგმანსაც ჰგავს. დანარჩენი თქვენი ლექსები პირველივე შემთხვევაში დაიბეჭდებიან, თუ კი, რა თქმა უნდა, საქმე მარტო ჩვენზედ იქნება მიგდებული. იმედი გვაქვს, რომ რედაქციას არ მოაკლვებთ თქვენი მშვენიერი კალიმის ნაწარმოებს.

ბ-ნს ალ. ც—რ—მეს. თქვენი ლექსები ვერ დაიბეჭდება, რადგან პოეზიას ისე მოშორებულნი არიან როგორც ზეცა დედამიწას. უმჯობესი იქნება თქვენთვის და ჩვენთვისაც, რომ პროზით სწეროთ სოლმე. ნუ დაგვივიწყებთ.

ბ. ა. ს. საქარე ლს თქვენი ლექსი „დილა“ მეზად სუხტია. იქნება სხვა რამე გამოგვიგზავნოთ—გავსინჯავთ—შესაძლებელია რომ გამოდგეს. ნუ დაგვივიწყებთ.

„გმა განკიცხული“ ავტორს—თქვენი ლექსი რედაქციამ განიციტა კიდევ და განდევნა—პროზით სწერეთ.

ბ-ნს—„თეატრის მუსას“ თქვენი ლექსი არაჟი არც არაჟსა ჰგავს და არც პოეტური ფანტაზიას. ნუ ივიწყებთ, რომ ყოველს სულდგმულს, ყოველს კაცს, ყოველს ნიჭს თავისი ქერქი, თავისი ფერი; თავისი გზა აქვს, თქვენ კი ამ ლექსში თქვენს გზას აცილებულხართ. ნუ დაგვივიწყებთ.

ბ. ალისუბნელს თქვენი „აღმორჩეული აზრები“—დან ზოგიერთი დაიბეჭდება.

ალბქსანდრეს და ანასტასიას თქვენი ლექსები, ბატონო და ქალბატონო, მეტად შინაური ხასიათისაა, ამის გარდა არც ლექსიც არის სათვალჩინო. ჩვენთვის არ გამოდგება—მანც ნუ დაგვივიწყებთ.

„ქნარის“ ავტორს—თქვენს ქნარს სიმები თუ მოეშალა, თორემ ასე უცემური უღერა ან ქნარის ბრალია ან დამავრეულია.

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერ გ. ცუხია.



თეატრული  
კრიტიკის

# გ ე ნ ც ხ ა ღ მ ბ ა ნ ი

## „თეატრი“

საყოველ-კვირათა ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი

გამოდის კვირათბით. იბეჭდება—მოთხრობები, რომანები, ზიესები, ლექსები ხალხური და ხელოვნურიც, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, ძეგლიტონები, გამოცანები, იგავეები და სხვა. წლიური ფასი გაზეთი „თეატრისა“ 5 მანეთი, ნახევარი წლის ფასი 3 მანეთი

ნახევარი წელიწადი ითვლება 1 იანვრიდან 1 ივლისამდე და ზირველ ივლისიდან 1 იანვრამდე. ამიტომ ვისაც ჭსურს ხელის მოწერა იმათ შეუძლიანთ ამ თავითვე შემოიტანონ 3 მანეთი იანვრის 1887 წლამდე. ცალკე ნომრები „თეატრისა“ ღირს 15 კაპ. ისეიდება თბილისში 1) თვითონ რედაქციის კანტორაში არწრუნისეულ ქარვასლაში, 2) ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღასიაში 3) გოლოვინის პროსპექტსედ მაღასია „ივერიაში“, 4) სიღის ეურთან აღისანოვის ჰაპროსის მაღასიაში და 5) ქუთაისში მმ. ჭილაძესთან.

სტამბა და წიგნის მაღასია  
მ რ. ჩარკვიანისა  
თბილის, ლორის-მელოქოვის ქუჩ. გუბლოვის სახლი.  
იღებს ყოველ-გვარს სესტამო სსა  
მუქს დასაბეჭდათ.  
სტამბა და წიგნის მაღასია

ალ. მიჩინაუშვილი  
**ტატარა მოამბე**  
საუმაწვილო წიგნი  
ისეიდება გრ. ჩარკვიანის წიგ. მაღასიაში.  
ფასი 10 კაპ.